საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1555 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

ზაზა წიკლაურის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება ზაზა წიკლაურის 2016 წლის 30 მაისის N18844 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილ იქნა „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის No 11 ბრძანებისა და „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 110

კილოვატიანი (220 კილოვატიან გაზარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №-91 ბრძანების გათილად ცნობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული გარემოებების არსებითი გამოკვლევის მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" (შემდეგში - სსე) საქმეში დაინტერესებული მხარის სტატუსით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ჩართვის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისას დადგინდა, რომ:

2015 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდეგში - სამინისტრო) განცხადებით მიმართა სსყ-მ და ითხოვა ელექტროგადამცემი ხაზის (შემდეგში - ეგხ) „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტზე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლება (შემდეგში - გზშ). განცხადებაში მითითებული იყო, რომ „ეგხ-ის რეკონსტრუქციის აუცილებლობა გამოწვეულია მოცემულ რეგიონში მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების ექსპლოატაციაში შესვლის შემდგომ გამომუშავებული ელ. ენერგიის საქართველოს ენერგოსისტემაში ჩართვით. ამასთან, „დარიალი ჰესის" ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია ზამთრის პერიოდში, რის შედეგადაც მოხდება აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელ. ენერგიის ჩართვა ერთიან სისტემაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდში ქვეყნის ენერგეტიკული მდგომარეობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტი იძენს სახელმწიფოებრივ დანიშნულებას და უმნიშვნელოვანესია, როგორც რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტის განვითარების თვალსაზრისით, ასევე მთლიანად, საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის". აღნიშნული განცხადება, 2015 წლის

14 დეკემბერს განიხილა გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ (შემდეგში - საბჭო). საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სხდომის გადადებისა და მომდევნო სხდომაზე საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან წარმომადგენლის მოწვევის თაობაზე, ასევე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო კერძო მესაკუთრეებთან, ასევე საქართველოს საპატრიარქოსთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განმეორებითი სხდომა გაიმართა 2015 წლის 28 დეკემბერს. სხდომას ესწრებოდა სსე-ს წარმომადგენელი. კომპანიის მიერ საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად, წარდგენილი იქნა საპატრიარქოსთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2015 წლის 28 დეკემბრის N1655 წერილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის N11/9206 წერილი, ამონაწერები საჯარო რეესტრებიდან, სადაც მითითებული იყო, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები დატვირთული იყო სერვიტუტის უფლებით და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის 2015 წლის 4 დეკემბრის N04/4533 წერილი „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადასტურებისა და საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ. საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საბჭოს მიერ საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება

რეკომენდაციის სახით წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს. საბოლოო გადაწყვეტილება კი აისახა „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №-11 ბრძანებაში. მას შემდეგ, რაც სსე გათავისუფლებული იქნა გზშ-სგან, საქართველოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2016 წლის 5 თებერვალს N1998 წერილობითი კორესპონდენციით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს მშენებლობისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის მეორე სტადიაზე მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, მითითებულ წერილობით კორესპონდენციასთან ერთად სამინისტროს წარედგინა სსე-ს მმართველთა საბჭოს მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შარკოვის განცხადების ასლი და 110 კილოვოლტიანი (220 კილოვოლტიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის საპროექტო დოკუმენტაცია. წარდგენილი საპროექტო დოკუმენტაციისთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა

და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის No-72 ბრძანებით შეიქმნა საექსპერტო კომისია. საექსპერტო კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა დადებითი ეკოლოგიური დასკვნის გაცემა, რისი გათვალისწინებითაც გამოცემული იქნა „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის No-91 ბრძანება.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის No-11 ბრძანების მიღებისას დაირღვა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა. დაგეგმილი საქმიანობა ემსახურებოდა მხოლოდ კონკრეტული ჰესის ერთიან ელექტროსისტემაში ჩართვას და არავითარი სხვა დანიშნულება არ გააჩნდა, შესაბამისად სამინისტროს არ ჰქონდა კონკრეტული საქმიანობის მიმართ განსხვავებული მიდგომებისა და კანონიდან

გამონაკლისის დაშვების საფუძველი. ასევე, მიუთითებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის პირველი, მე-3 და მე-6 მუხლების მოთხოვნების დარღვევაზე. იმის გათვალისწინებით, რომ „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტის განხილვაში არ მოხდა საზოგადოების ჩართვა და საჯარო განხილვების მოწყობა. ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურების სრულად გავლის შემთხვევაში გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა მინიმუმ 60 და მაქსიმუმ 75 დღე, ხოლო ამ პროცედურის ხანგრძლივობის საბაბით გზმ-სგან გათავისუფლების პირობებში სამინისტროს გადაწყვეტილების მიღებისათვის მთლიანობაში 78 დღე დასჭირდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიმართვა დათარიღებულია 2015 წლის 4 დეკემბრით, ხოლო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - 2016 წლის 19 თებერვლით.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი, ასევე განმარტავს, რომ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური

ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის N0-91 ბრძანების მიღებისას დარღვეული იქნა: „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანების მე-7 მუხლითა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, ვინაიდან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა მომზადებული იქნა სხვა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის N31 ბრძანების მე-6 მუხლის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების სპეციალურ საბჭომ განიხილა საქმიანობის გზმ-სგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. საჩივრის ავტორი, ასევე მიუთითებს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებზე და აღნიშნავს, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა მითითებული მუხლით დადგენილი წესის დარღვევით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კანონით დადგენილი არცერთი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის N0-91 ბრძანება დაცული არ ყოფილა, რაც იძლევა მისი ბათილად ცნობის საფუძველს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები. სამინისტრომ ასევე მიუთითა, რომ გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ გზშ-სგან გათავისუფლების საკითხის განხილვისას ფორმალური მხრივ თავისი დისკრეციის ფარგლებში ყველა პროცედურა გაიარა. ამავდროულად საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმიანობის განმახორციელებლისაგან ითხოვა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი იქნა განმეორებით სხდომაზე, რის გამოც ჩატარდა საბჭოს ორი სხდომა. აღნიშნულისა და კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, საბჭომ მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, რითაც განახორციელა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული უფლებამოსილება. სამინისტრომ, ასევე აღნიშნა, რომ „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ძირითად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს

ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს, ასაბუთებდეს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილას და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივად თვისობრივ ცვლილებებს, ასევე უნდა ითვალისწინებდეს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს. სამინისტროს განმარტებით, მითითებული პირობები ექსპერტიზის დასკვნებზე დაყრდნობით განხილული იქნა ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების დროს. სამინისტრომ, ასევე მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაწყვეტილების მიღების პროცესში არსებული ექსპერტიზის დასკვნების გამაქარწყლებელი, სხვა საპირისპირო შინაარსის დასკვნები წარმოდგენილი არ ყოფილა.

სსე-ს წარმომადგენელი, ასევე არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ 110 კვ. ძაბვის ეგხ-ის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა. ასევე, მიუთითა, რომ ეზმ-სგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთი თვის ვადაში და არა 78 დღეში, როგორც ამას საჩივრის ავტორი უთითებს. ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საჩივრით ვერ საბუთდება თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს მას „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის შედეგად, ვინაიდან არსებული ხაზის რეკონსტრუქციის პირობებში ელექტროგადამცემმა ხაზმა სოფელში

მაცხოვრებელი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, სოფლიდან გადაიწია 300 მეტრით.

ადმინისტრაციული საჩივრის შესწავლისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად, მიჩნეულ იქნა, რომ ზაზა წიკლაურის მიერ წარმოდგენილი N18844 ადმინისტრაციული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყოს მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურის დაწყებამდე. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ პროცედურას: გზშ-ის საჯარო განხილვასა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების გაფორმებას, საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველ სტადიაზე, რომლის შედეგადაც, როგორც ეს ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტშია აღნიშნული, დგება გზშ-ის ანგარიში. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის ძე 4 ძუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე მიმართავს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩასართავად და ამავე ორგანოს მიერ

სამინისტროსათვის წარდგენილ დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად. დასკვნას ამტკიცებს მინისტრი და აღნიშნული შეიძლება გახდეს მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი. თუმცა, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი უშვებს გამონაკლისს, რომლის შესაბამისადაც, თუ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას, ასეთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი შეიძლება გათავისუფლდეს გზშ-სგან. გზშ-სგან გათავისუფლების თაობაზე საქმიანობის განმახორციელებლის განცხადებას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებებს შეიმუშავებს გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭო, რომლის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მინისტრი. საბჭოს მიერ შემუშავებულ წინადადებებზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის N38 ბრძანებით დამტკიცებულია „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესი". აღნიშნული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბჭო წარმოადგენს სამინისტროს სათათბირო ორგანოს, რომელიც კომპლექტდება სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებისგან. ამავე წესის მე-5 მუხლის თანახმად, გზშ-საგან საქმიანობის გათავისუფლების შესახებ განცხადებას იღებს სამინისტრო, რომელიც ამ უკანასკნელს გადასცემს საბჭოს. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები: ა) საერთო განმარტებითი ბარათი (ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ); ბ) საველე კვლევის მასალები (დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული საველე კვლევის მასალები: ჰიდროლოგია, გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია და ა.შ.); გ) საპროექტო ნახაზები; დ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერა (მათ შორის დანადგარის საპასპორტო მონაცემები); ე) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზი (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე); ვ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები; ზ) ამ პუნქტის „ა"-„ვ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაციების ელექტრონული ვერსიები. განსახილველ შემთხვევაში, ზემოთ მითითებული სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით, 2015 წლის 4 დეკემბერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განცხადებით მიმართა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" და მოითხოვა ეგხ „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტზე გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან გათავისუფლება. 2015 წლის 14 დეკემბერს გარემოზე ზემოქმედების სპეციალურმა საბჭომ განიხილა წარდგენილი განცხადება. ვინაიდან, განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ხვდებოდა კერძო საკუთრებაში არსებული ქონება, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე საპატრიარქოსთვის მიჩენილი

უბნის ტერიტორია და ამავე ტერიტორიაზე იკვეთებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინტერესები სათხილამურე ტრასების მოწყობასთან დაკავშირებით, კენჭისყრის საფუძველზე, საბჭომ 2015 წლის 14 დეკემბრის N63 სხდომის ოქმის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება სხდომის გადადებისა და დამატებით დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შესახებ. უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით საბჭომ დამატებით განიხილა ასევე საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი ზემოთ მითითებული დოკუმენტები. განმეორებითი სხდომა გაიმართა 2015 წლის 28 დეკემბერს. სხდომას ესწრებოდა სსე-ის წარმომადგენელი. კომპანიის მიერ საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად, წარდგენილი იქნა საპატრიარქოსთან და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები, კერძოდ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის 2015 წლის 28 დეკემბრის N1655 წერილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 25 დეკემბრის N11/9206 წერილი, ამონაწერები საჯარო რეესტრებიდან, სადაც მითითებული იყო, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები დატვირთული იყო სერვიტუტის უფლებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 4 დეკემბრის N04/4533 წერილი, „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადასტურებისა და საქმიანობის გარემოზე

ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ. საბჭომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, 2015 წლის 28 დეკემბრის N64 სხდომის ოქმით მიიღო გადაწყვეტილება საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლების შესახებ, რაც რეკომენდაციის სახით წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს. საბოლოო გადაწყვეტილება კი, აისახა „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის N0-11 ბრძანებაში. როგორც უკვე აღინიშნა, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი უშვებს საქმიანობის გზშ-სგან გათავისუფლების შესაძლებლობას თუ, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს საქმიანობის დაწყებას და ამის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღებას. განსახილველ შემთხვევაში, „დარიალი 110"-ის რეკონსტრუქციის პროექტის საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დასტურდება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" 2015 წლის 4 დეკემბრის განცხადებით, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის 2015 წლის 4 დეკემბრის N04/4533 წერილითა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენელის ახსნა-განმარტებით. აღნიშნულის

გათვალისწინებით, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ ჰქონდა კონკრეტული საქმიანობის მიმართ განსხვავებული მიდგომებისა და კანონიდან გამონაკლისის დაშვების საფუძველი, ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული. ასევე უსაფუძვლოა საჩივრის ავტორის პოზიცია, იმასთან დაკავშირებით, რომ გზშ-სგან გათავისუფლების საკითხის განხილვას საბჭომ 78 დღე ანუ იმაზე მეტი დრო მოანდომა, ვიდრე გზშ-ს საჯარო განხილვას დაჭირდებოდა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საქმიანობის განმახორციელებელმა სამინისტროს მიმართა 2015 წლის 4 დეკემბერს, ხოლო გზშ-სგან გათავისუფლების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მინისტრის ბრძანების სახით გამოიცა 2016 წლის 5 იანვარს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 3 ივნისის N38 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საბჭოს საქმიანობის წესის" მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს საქმიანობის ეკოლოგიური ექსპერტიზისაგან გათავისუფლებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიაზე უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტროს ჩართვას. აღნიშნულის გათვალისწინებით 2016

წლის 5 თებერვალს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, როგორც მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინა ,,დარიალი 110'' ეგხ-ის რეკონსტრუქციის პროექტი, ეკოლოგიურ ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის N28 ბრძანებით დამტკიცებულია „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესი". აღნიშნულის წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული მუხლით დადგენილი მოთხოვნები არის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად/ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტების ზოგადი ჩამონათვალი. შესაბამისად, ნებართვის მისაღებად ან/და ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად ზემოთ მითითებული დოკუმენტების სრულად წარმოდგენა ყველა შემთხვევაში შესაძლოა ვერ მოხდეს, რასაც ადგილი აქვს განსახილველ შემთხვევაშიც, კერძოდ: ვინაიდან საქმიანობის განმახორციელებელი გათავისუფლებული იქნა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გზშ-სგან, ხოლო ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გზშ-ს შედეგად დგება გზშ-ს ანგარიში, აღარ მოითხოვება „გარემოზე

ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარდგენა. ამასთან, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განმარტებით, ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი, ასევე აღნიშნავდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებზე და მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის გამცემის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებდა ამ კანონის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს. ასევე, მიუთითებს „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის პირველ, მე-3 და მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დარღვევებზე. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო, ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული საჩივრის პოზიციას ზემოთ მითითებული კანონის მუხლებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევასთან მიმართებაში, ვინაიდან, ზოგადად კანონი და კანონში მოცემული მუხლები

გააზრებული და გაგებული უნდა იქნეს სისტემურად. მართალია, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებს, მაგრამ აღნიშნული კანონის მე 11 მუხლი, ასევე ადგენს ამავე კანონით დადგენილი წესიდან გამონაკლისს, რომელიც, თვის მხრივ, საჭიროებს ამავე კანონით დადგენილ მუხლებთან სისტემურ ანალიზს ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათავისუფლებულია გზშ-სგან, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ყველა იმ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, რომელიც გაწერილია იმ ზოგადი პროცედურის მიხედვით, როდესაც საქმიანობის განმახორციელებელი სრულად გადის მშენებლობის ნებართვის გაცემის ყველა საფეხურსა თუ პროცედურას - გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვას, რომლის შედეგადაც დგება გზშ-ს ანგარიში.

რაც შეეხება „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის პირველ, მე-3 და მე-6 მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. მითითებული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, იმისთვის, რომ

უზრუნველყოფილი იქნეს ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება, იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ- მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას. კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოფს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება. მითითებულ მუხლებთან მიმართებაში, განვმარტავთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი წარმოადგენს სწორედ, რომ კონვენციის მითითებული მუხლების რეალიზაციის საშუალებას საქართველოს სახელმწიფოს მოქმედ კანონმდებლობაში. მითითებული კანონი საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს ფართოდ აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ იმ საქმიანობის განხორციელებაში, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო მხოლოდ განსაკუთრებულ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესის არსებობის შემთხვევაში უშვებს ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, ისიც გამონაკლისის სახით, რაც

ასევე შესაბამისობაშია მითითებული კონვენციის მე-6 მუხლთან, ვინაიდან: კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს საქმიანობათა გარკვეულ სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის წესს. მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის („ა") თანახმად, თითოეული მხარე I დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს. I დანართის მე-17 პუნქტის შესაბამისად კი, მე-6 მუხლის დებულებები გამოიყენება მიწისზედა 220 კვ ან მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების აგებაზე, როდესაც ხაზის სიგრძე აღემატება 15 კმ-ს. მითითებული კონვენციის მე-6 მუხლის დებულებები აპრიორი განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება. თუმცა, ამავე კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი (ბ), ასევე განსაზღვრავს, ისეთ შემთხვევასაც, როცა საქმიანობა ჩამოთვლილი არ არის I დანართში და ადგენს: საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე თავის დებულებებს იმ შემოთავაზებულ საქმიანობებში, რომელიც არ არის ჩამოთვლილი I დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამისთვის მხარეებმა უნდა განსაზღვრონ, რამდენად ეხება ასეთი სახის შემოთავაზებული საქმიანობა წინამდებარე დებულებებს. ამდენად, იმისათვის, რომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა მითითებული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე მიუთითოს, მან უნდა დაასაბუთოს ის თუ რა მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს „დარიალი 110" ეგხ-ის რეკონსტრუქციამ გარემოზე.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს ადმინისტრაციული წარმოების დროს მითითებულ საკითხთან მიმართებაში არ წარმოუდგენია სათანადო მტკიცებულებები. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო, ვერც კონვენციის მე-6 მუხლით მითითებული მოთხოვნების დარღვევებთან მიმართებაში გაიზიარებს ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის პოზიციას.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ გარემოზე ზემოქმედების სპეციალური საგჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გზშ-სგან გათავისუფლების თაობაზე და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანება სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, კანონით დადგენილ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გამოცემული მინისტრის ბრძანება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი (წინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი

დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევაზე ანდა კანონის ისეთ დარღვევაზე, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათილობის საფუძველი, შესაბამისად, ზაზა წიკლაურის მოთხოვნა „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი 110" რეკონსტრუქციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 5 იანვრის №-11 ბრძანებისა და „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს 110 კილოვატიანი (220 კილოვატიან გაბარიტებში) ელექტროგადამცემი ხაზის „დარიალი"-ს რეკონსტრუქციაზე, მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 19 თებერვლის №-91 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, უსაფუძვლოა, მოკლებულია, როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ არგუმენტაციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201–ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ზაზა წიკლაურის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი